საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №148

20/2 წ. "26" 04

ქ. თბილისი

შპს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა) ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიას (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა) (საიდენტიფიკაციო კოდი: 243572834) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.
2. შპს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიას (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 26 აპრილის №12 სხდომის ოქმის მე-15 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
ანა კლდიაშვილი